

N	თარიღი	საქმის ნომერი	ფ ა ქ ტ ე ბ ი ს მ ო კ ლ ე ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ა
1	11/02/2015	1600/15	განმცხადებელი ორგანიზაციის განმარტებით, მათი თანამშრომლების მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის საქმეზე საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება. მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დისკრიმინაციული მოტივებით, განზრახ ჭიანჭურდება საქმეზე ეფექტური გამოძიება.
2	21/08/2015	9883/15	განმცხადებელი სადავოდ ხდის საქართველოს მთავრობის 2013 წლის №36 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ნორმატიულ შინაარსს და აღნიშნავს, რომ იგი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს კერძო დაზღვევით მოსარგებლე პირებს.
3	10/10/2016	13122/16	განმცხადებელი თავს მიიჩნევს განსხვავებული მოსაზრების გამო დისკრიმინაციის მსხვერპლად. ამის მიზეზად იგი ასახელებს მის მიერ ყოფილი კოლეგისადმი, რომელიც სასამართლო წარმოების გზით დავობს უკანონო გათავისუფლების შესახებ, გამოხატულ მორალურ თანადგომასა და გათავისუფლებამდე აღმოჩენილ იურიდიულ დახმარებას.
4	04/10/2016	12870/16	განმცხადებელი თავს მიიჩნევს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლად. მისი განმარტებით, 2015 წლის იანვარში მოხდა ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის აღდგენა, გამოცხადდა კონკურსი ბიბლიოთეკარის ვაკანტურ თანამდებობაზე, თუმცა, მიუხედავად მისი სამუშაო სტაჟისა და გამოცდილებისა, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო, მას უარი ეთქვა ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე.
5	02/09/2016	2799-13	სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის შესწავლა, სატრანსპორტო კომპანია „მეტრო ჯორჯიას“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბილეთების ონლაინ შეძენის პროცედურას. კომპანიის მიერ დადგენილი რეგულაციებით, მგზავრების მიერ ადგილების არჩევისას, დაწესებულია შეზღუდვა. კერძოდ, თუ კონკრეტულ დასაჯდომ ადგილზე შესყიდულია ბილეთი რომელიმე სქესის წარმომადგენლის მიერ, მის გვერდით დასაჯდომ ადგილს საპირისპირო სქესის წარმომადგენელი ვერ შეისყიდის.
6	06/02/2017	1670/17	განმცხადებლის განმარტებით, 2017 წლის 11 იანვარს, სადამოს საათებში, თბილისში, ერთ-ერთ დაწესებულებას ეწვია დაახლოებით ათი მამაკაცი, რომლებიც იქცოდნენ პროვოკაციულად და მიზანმიმართულად ცდილობდნენ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით გამოეწვიათ ბარის პერსონალისა და იქ მყოფი სტუმრები. დაწესებულების პერსონალმა გამოიძახა დაცვის სამსახური, რის შემდეგაც ეს უკანასკნელნი უფრო აგრესიულები გახდნენ და მუქართა და ცინიკური რეპლიკებით დატოვეს ბარის ტერიტორია.

			განმცხადებელი მიიჩნევს, რომ შესაძლოა, დისკრიმინაციული მოტივებით გამოძიება არ წარმართოს ეფექტურად.
7	14/09/2016	11905/16	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 2008 წლის 1 დეკემბრიდან პედაგოგად მუშაობს ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სკოლის დირექტორი მზია ზედგენიძე მუდმივად ახორციელებს მის მიმართ დისკრიმინაციულ ქმედებებს. კერძოდ, ხელს უშლის პროფესიული საქმიანობის წარმართვაში, არ აძლევს საშუალებას გამოიყენოს სკოლის რესურსი, საჯაროდ აყენებს შეურაცხყოფას, დასცინის, აბუჩად იგდებს, ავიწროვებს და ცილს სწამებს.
8	16/09/2016	11978/16	სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ქ. თბილისის 11 სხვადასხვა ბაგა-ბაღის ყოფილმა დირექტორმა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ ისინი გაათავისუფლა დისკრიმინაციული მოტივით. კერძოდ იმის გამო, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში იყვნენ დანიშნულები. გარდა ამისა განმცხადებლები მიუთითებენ, რომ ისინი ან მათი ოჯახის რომელიმე წევრი ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან.
9	28/04/2016	5484/16	განმცხადებლის განმარტებით, იგი პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს ქ. თბილისის ერთ-ერთი ბაგა-ბაღის დირექტორის თანამდებობიდან.
10	16/03/2017	3081/17	განმცხადებლის განმარტებით, მათ საკუთრებაში აქვთ ქ. ბათუმში, არსებული შენობა-ნაგებობა, რომელსაც იყენებენ რელიგიური ღვთისმსახურებისათვის. აღნიშნული შენობის მომიჯნავედ, ერთ-ერთი შპს-ის მიერ აშენდა ახალი საცხოვრებელი კორპუსი, რომელსაც წინ უსწრებდა განმცხადებელთა მიერ გაცემული უანგარო თანხმობა, რომ სახლი აშენებულყო მათ წითელ ხაზებზე და მათი ნაკვეთის მხარეს, 12 მეტრის სიმალიდან ჰქონოდა ფანჯრები. აღნიშნული შეთანხმება დაარღვია ზემოხსენებულმა შპს-მ და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გაცემული მშენებლობის ნებართვის გადახედვა და მხარეებს შორის დადებულ შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოყვანა. მიუხედავად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია კვლავ აჭიანურებს მის აღსრულებას.
11	17/05/2017	6091/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ დედასთან ერთად ცხოვრობს ქ. ქუთაისში. ისინი არიან ებრაელები, რის გამოც მეზობლების მხრიდან ხშირად ხდებიან ლანძღვის, შეურაცხყოფისა და მუქარის მსხვერპლნი. ამასთან, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის 17 აპრილს მის ოჯახზე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით განხორციელდა თავდასხმა, რაზეც აღძრულია საქმე ერთ-ერთი პირის მიმართ. განმცხადებელი არ აქვს გამოძიების ჯეროვნად წარმართვის იმედი.
12	16/05/2017	6719/17	განმცხადებლის განმარტებით, 2014 წლიდან იგი მეცნიერ-

			თანამშრომლის თანამდებობაზე მუშაობს ერთ-ერთ სსიპ-ში. 2016 წლის 30 ნოემბერს ცენტრის ხელმძღვანელმა მას მოსთხოვა გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერა და მომავალ ატესტაციაზე განაცხადის შეტანაზე უარის თქმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა, რომ გამოიყენებდა თავის უფლებამოსილებას და დაუწერდა უარყოფით შეფასებას
13	03/03/2017	2461/17	განმცხადებელი სადავოდ ხდის მწვავე ფსიქიატრიული განყოფილებების სტაციონარული მომსახურების დაფინანსების შემცირების შედეგად მულტიპროფილურ საავადმყოფოებში არსებული სერვისების დახურვის საკითხის შესაბამისობა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან.
14	27/03/2017	3415/17	განმცხადებელი სადავოდ ხდის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 2015 წლის 24 დეკემბრის რედაქციით დადგენილ რეგულაციებს. მისი განმარტებით, იგი არის ძებნაში მყოფი მსჯავრდებული და დღეს მოქმედი რეგულაციებით არ არის გათვალისწინებული ძებნაში მყოფი მსჯავრდებულის შემთხვევაში არ არის გაწერილი ამნისტიის განხორციელების ეტაპები.
15	27/06/2017	8264/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ დისკრიმინაციული მოტივით იქნა გათავისუფლებული ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთი განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობიდან.
16	28/06/2017	8418/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მისი სექსუალური ორიენტაციის გამო, ერთ-ერთი სასწავლებელი მასზე არ გასცემს სწავლების დამადასტურებელ ცნობას.
17	12/06/2017	8262/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ეროვნების ნიშნით მას არ ეძლევა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის უფლება.
18	19/06/2017	8843/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მისი დაკავება და პასუხისგებაში მიცემა მოხდა ეროვნების ნიშნით.
19	19/06/2017	8742/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მას უკანონოდ უზღუდავენ კუთვნილი მიწის ნაკვეთის დარეგისტრირების უფლებას. ნიშნის გამოკვეთა ვერ მოხერხდა.
20	29/08/2017	12672/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მას არ ეძლევა სამუშაო ადგილზე შესვლის უფლება, რადგან არის გაწევრიანებული პროფკავშირებში.
21	31/08/2017	12811/17	განმცხადებელს რადიოს ეთერში გასული რეკლამა მიაჩნია სექსისტური შინაარსის მქონედ.
22	17/08/2017	12290/17	განმცხადებელს მიაჩნია, რომ დისკრიმინაციული მოტივით იქნა სამსახურიდან გათავისუფლებული. ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მას არ ეძლეოდა სამუშაო ადგილზე მისვლის საშუალება.
23	21/09/2017	13867/17	სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ თანამშრომლები კანონიერ წარმომადგენელს არ აძლევენ ქ. თბილისში, ჩხაიძის

			ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობაში შესახლებული სოციალურად დაუცველი ოჯახის მონახულების უფლებას. განცხადების მიხედვით, ეს უკანასკნელნი იმყოფებიან არაადამიანურ პირობებში.
24	28/09/2017	14170/17	განმცხადებელი არის ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი მამაკაცი, რომელსაც შეეძინა შვილი, თუმცა არ ეძლევა ბავშვის მოვლის გამო შვებულება. უარის მიზეზად კი ასახელებენ საავადმყოფო ფურცლის წარმოუდგენლობას.
25	22/08/2016	10756/16	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ იგი გახდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი რის გამოც მას ეთქვა უარი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე.
26	05/09/2016	11407/16	განმცხადებელი მიუთითებს, რომ იგი და მისი შვილები გახდნენ სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლი ავტობუსის მძღოლის მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.
27	26/09/2016	12409/16	განცხადების თანახმად, ხაშურის რაიონის სამხედრო განყოფილებაში იეკოვას მოწმეები რელიგიური სიმულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ.
28	07/10/2016	13058/16	განმცხადებლის 10 წლის შვილს, ჰიპერაქტიულობის გამო, სწავლის პროცესში მუდმივად ექმნებოდა პრობლემები. იგი სრულფასოვნად ვერ სარგებლობს განათლების უფლებით, რაც განმცხადებლის შეფასებით წარმოადგენს დისკრიმინაციას.
29	02/11/2016	14001/16	საინიციატივო ჯგუფს არ ეძლევა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის აშენების საშუალება, რაც განცხადების თანახმად, წარმოადგენს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას.
30	12/01/2017	292/17	განმცხადებლის განმარტებით, ცინცადის ქუჩაზე მდებარე სწრაფი კვების ობიექტ „ვენდისის“ საპირფარეოების ნიშნები უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სხვადასხვა სქესის წარმომადგენელ პირებს, რომლებიც ბავშვებთან ერთად არიან. ობიექტში კაცებისთვის, ქალებისთვის და შშმ პირებისთვის არის გამოყოფილი საპირფარეო, თუმცა, ამ სამიდან მხოლოდ ქალების საპირფარეოს აქვს ბავშვის ნიშანი.
31	07/03/2017	3272/17	განცხადების თანახმად, 2017 წლის 2 თებერვალს გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში, იეკოვას ორი მოწმეს და მათთან მყოფი პირებს იმავე სოფლის ოთხი მაცხოვრებელი თავს დაესხა. ამ საქმის გამოძიების ეტაპზე, პოლიციის თანამშრომლებმა გამოავლინეს რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება და მათი ქმედებები შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.
32	09/03/2017	3311/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ ააიპ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გაერთიანების“ მხრიდან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში იგი გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი პოლიტიკური ნიშნით.
33	13/03/2017	3479/17	განცხადების თანახმად, მიმდინარე წლის 3 მარტს, თბილისში,

			ლეონიძის ქ. N 4-ში მდგომმა პირებმა განმცხადებლებს სექსუალური ორიენტაციის გამო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ჩადენილ იქნა სიმულვილით მოტივირებული დანაშაული.
34	30/03/2017	4453/17	განცხადების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მხრიდან ადგილი აქვს დისკრიმინაციას შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში განსხვავებული შეხედულების ნიშნით.
35	04/04/2017	4564/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მხრიდან იგი გახდა შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი. განცხადების თანახმად, იგი არ დაასაქმეს, რადგან ახალგაზრდა სოლისტებს კონკურენციას ვერ გაუწევენ სხვა სოლისტები. ასაკის ნიშნით, განსხვავებოდა ხელფასის ოდენობა, კერძოდ, მას ერიცხებოდა მხოლოდ 400 ლარი, როდესაც სხვა სოლისტები, რომლებიც იმავე პარტიებს ასრულებდნენ, იღებდნენ უფრო მეტ ხელფასს.
36	18/04/2017	991-13	სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის შესწავლა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოსამსახურეთა სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების დამტკიცებისა და კვების ორგანიზების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N 142 ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, სამინისტროს ზოგიერთი მოსამსახურისთვის განსაზღვრულია აღდგომის სადღესასწაულო დღის ნორმად კვერცხი და სააღდგომო პასკა. ბრძანებაში არ არის გათვალისწინებული სხვა რელიგიური დღესასწაულები, რომლებთანაც რაიმე საკვების მიღებაა დაკავშირებული.
37	25/04/2017	5612/17	განმცხადებელი და მისი თანმხლები ტრანსგენდერი ქუთაისში მდებარე ერთი ბარის მხრიდან გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლი მომსახურების სფეროში.
38	01/05/2017	5935/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ იგი გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი, რადგან მას არ მიეცა საშუალება ყოფილიყო ვოკალის პედაგოგი, რადგან მას არ ჰქონდა კონსერვატორიაში მუშაობის გამოცდილება და ის არის განსხვავებული შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი.
39	06/06/2017	7892/17	კოლექტიური განცხადება შემოიტანეს ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებლებმა. განცხადების თანახმად, ისინი შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლნი გახდნენ დირექტორის მხრიდან.
40	14/06/2017	8275/17	განცხადების თანახმად, განხორციელდა პირდაპირი დისკრიმინაცია, რის შედეგადაც დაირღვა მისი უფლება დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს გასაქირავებლად საჯაროდ შეთავაზებული უძრავი ქონებით.

41	13/06/2017	8330/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ იგი გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი, რადგან ქალაქ ბათუმში სანოტარო ბიუროები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.
42	24/08/2017	12606/17	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე, მიმდინარე წლის 24 აგვისტოს, დარეკა დ. ფ-მა, რომელმაც განაცხადა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარე დაცულ ტერიტორიაში - „პრომეთეს მღვიმეში“ შესასვლელად საქართველოს მოქალაქეებისათვის დაწესებულია ტარიფი - 10 ლარი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის - 20 ლარი. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნული ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციას წარმოადგენს.
43	24/08/2017	12608/17	განმცხადებელი რეორგანიზაციის შედეგად გაათავისუფლეს შსს-დან და მიიჩნევს, რომ არის დისკრიმინაციის მსხვერპლი უცნობი ნიშნით.
44	13/10/2017	14921/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში ადგილი აქვს მის მიმართ ეროვნების ნიშნით დისკრიმინაციას.
45	13/09/2017	12347/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შემუშავდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტი საშუალებების პარკირების რეგულირების ახალი წესი. განხორციელებული ცვლილებების შემდეგ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს წაერთვათ უფლება ისარგებლონ პარკირების შეღავათიანი წესებით.
46	11/09/2017	13305/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ის გახდა შრომით ურთიერთობებში დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლი განსხვავებული შეხედულების ნიშნით.
47	27/09/2017	14131/17	განცხადების თანახმად, ერთ-ერთ მუსლიმ მოსწავლეს დირექტორი არ აძლევს საშუალებას იაროს, სკოლაში რადგან მოსწავლე იყენებს ჰიჯაბს.
48	02/03/2015	2486/15	განმცხადებელი მიუთითებს პროკურატურის და პოლიციის მხრიდან იეპოვას მოწმეების მიმართ გამოვლენილ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე.
49	08/04/2016	4512/16	განმცხადებელი არის ნიგერიის მოქალაქე, რომელიც ვერ სარგებლოს საქართველოს ბანკის სტუდენტური ბარათით, ასევე უარს ეუბნებიან საბანკო ანგარიშის გახსნაზე.
50	11/04/2016	4568/16	განმცხადებელი 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულია. იგი სადავოდ ხდის მისთვის კომპენსაციის მიუღებლობის საკითხს.
51	01/06/2016	6933/16	განმცხადებლის განმარტებით, მას მეზობლები ავიწროებენ და

			აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას იმის გამო, რომ არიან ერაყიდან. განმცხადებლის მითითებით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სათანადოდ არ რეაგირებენ.
52	07/06/2016	7216/16	განმცხადებლის განმარტებით, უცნობმა პირებმა ტრანსგენდერ პირებს ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიაყენეს შეურაცხყოფა. განმცხადებლის მითითებით, პოლიციელებიც მათ დასცინოდნენ და არ ახდენდენ რეაგირებას.
53	05/09/2016	11457/16	განმცხადებლის განმარტებით, მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. განმცხადებელი განმარტავს, რომ სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენთან ერთად, ათობით ადამიანმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. განმცხადებლის მითითებით, სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენი პირი იყო „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი და მისი კონკურენტი არჩევნებში.
54	05/09/2016	11458/16	განმცხადებლის განმარტებით, მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.
55	08/09/2016	11644/16	განმცხადებლის განმარტებით, მის დაცვის ქვეშ მყოფს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა ახალქალაქის რაიონის პროკურატურა აჭიანურებს საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამა წლის მაისის თვეში განმცხადებელმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რის შემდგომაც საქმე გადაეგზავნა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას, თუმცა დღემდე რეაგირება არ მოჰყოლია. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ რადგანაც ის და მისი ოჯახი არის ეროვნებით სომეხი ამიტომ ხდება მათი უფლებების დარღვევა.
56	07/10/2016	13036/16	განმცხადებლები განმარტავენ, რომ თსუ-ს პროფესორმა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ლექციაზე გააკეთა ჰომოფობიური შინაარსის განცხადება. ამასთან, განმცხადებლების მითითებით, აღნიშნული საგნის სწავლებისას პროფესორი იყენებს ჰომოფობიური შინაარსის შემცველ წიგნს.
57	10/10/2016	13098/16	განმცხადებლის განმარტებით, იგი დაკავებული იყო და მისი დაკითხვა 7 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ მასთან ერთად დაკავებულ პიროვნებას პოლიციელებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. განმცხადებლის მითითებით, მას პოლიციის თანამშრომლები მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი ტერმინებით.
58	26/06/2017	9100/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 18 ივნისს იგი საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა დააჯარიმა საგზაო ნიშნის დაუმორჩილებლობის გამო. განმცხადებლის განმარტებით,

			მისი კუთვნილი ავტომობილის უკან ავტომობილი შენიშნა, რომელსაც საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მართავდა. განმცხადებელის მითითებით, პატრულის თანამშრომელმა ჩაიდინა მისი მსგავსი სამართალდარღვევა, თუმცა, მხოლოდ განმცხადებელი დაჯარიმდა.
59	21/06/2017	8852/17	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2017 წლის 21 ივნისს 04:06 საათზე ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა ტრანსგენდერი, რომლის განმარტებითაც მას და მის მეგობრებს ბათუმში უცნობმა მამაკაცებმა მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. განმცხადებლის განმარტებით, მან გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომელმაც არ მოახდინა სათანადო რეაგირება.
60	23/06/2017	9025/17	განცხადებაში აღნიშნულია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭართალის საჯარო სკოლის დირექტორი ფსიქოლოგიურად ძალადობს მოსწავლეზე და აღნიშნული სკოლის მასწავლებლებს ავალებს ბავშვის შევიწროებას.
61	21/06/2017	8912/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ მიმდინარე წლის ივნისის თვეში მონაწილეობას ღებულობდა წინანდლის ბაგა-ბაღის გამგის პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში. განმცხადებლის მითითებით, კადრების შერჩევისას ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციის ფაქტებს, ვინაიდან შერჩევა ხორციელდებოდა ნაცნობობის საფუძველზე.
62	29/06/2017	9349/17	განმცხადებლის განმარტებით, მისი ხელმძღვანელის, იურისტის და მუნიციპალიტეტის გამგეობის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან არის დისკრიმინაციის მსხვერპლი. განმცხადებელი მიუთითებს რომ, ისინი მის მიმართ განწყობილნი არიან არაკოლეგიალურად, უზღუდავენ უფლება-მოვალეობებს, უშლიან ხელს საკუთარი მოვალეობების განხორციელებაში და იმყოფება შევიწროვებულ მდგომარეობაში.
63	03/07/2017	9510/17	განმცხადებელი მიიჩნევს, მას უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე, ვინაიდან მის პასპორტზე აღნიშნულია ტაივანი.
64	04/07/2017	9669/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას სურს სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, ასევე დაცვის პოლიციასა/სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დასაქმება, თუმცა დასაქმებაზე ზეპირი ფორმით უარს ეუბნებიან. ასევე აღნიშნავს, რომ ნასამართლობის გამო გასაუბრებაზე არ იბარებენ.
65	10/07/2017	10014/17	განმცხადებლები აცხადებენ, რომ ისინი პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან, ვინაიდან საქმის სხვა მონაწილეები არ არიან პასუხისგებაში მიცემული, ხოლო მათ მიმართ უკვე ორი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

66	07/07/2017	9959/17	ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა დმანისის N1 საჯარო სკოლაში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ. განმცხადებლის მითითებით, სკოლის დირექტორმა მას განუცხადა, რომ არ უყვარს „თათრები“ და არ მისცემს მათ სკოლაში სწავლის უფლებას.
67	09/07/2017	9991/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ დირექტორის მხრიდან დაექვემდებარა დისკრიმინაციას, რაც გამოიხატა განმცხადებლის პიროვნულ შეურაცხყოფაში, ასევე ზეწოლაში, ხელი მოეწერა საკუთარი ნებით ტელევიზიიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებისთვის. ამასთან, განმცხადებლის მითითებით, მის წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური წარმოება.
68	13/07/2017	10293/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ პოლიციელების თანამშრომელთა მხრიდან განხორციელდა დისკრიმინაციული მოპყრობა იეჰოვას მოწმეების მიმართ. განმცხადებლის მოსაზრებით, იეჰოვას მოწმეების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებების გამო არ ასახა გამომძიებელმა სრულად მომხდარი ფაქტი. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება მისი მისამართითაც გამოვლინდა. კერძოდ, არ ძლევდნენ შენიშვნების დაფიქსირების საშუალებას და იქ მყოფ იეჰოვას მოწმეებს მოუწოდებდნენ არ დაეჯერებინათ მისთვის, ასევე უკრძალავდნენ მასთან კომუნიკაციას.
69	13/07/2017	10267/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მეზობლების მხრიდან ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლია.
70	19/07/2017	10639/17	განმცხადებლის განმარტებით, მას თავს ესხმის მისი ნათესავი და ურიას ეძახის.
71	25/07/2017	10933/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ წინანდლის N1 საბავშვო ბაღში ჩატარებული კონკურსი უკანონოა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ვინაიდან, ის პენსიონერია განუმარტეს რომ არ დაასაქმებდნენ. საბოლოოდ, ის გამოცხადდა გასაუბრებაზე, თუმცა, ვინაიდან დარჩენილი იყო ძალიან მცირე დრო, მან

			გასაუბრებისთვის სათანადოდ მომზადება ვერ შეძლო.
72	24/07/2017	10888/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ იგი დისკრიმინაციულ პირობებში იმყოფება, ვინაიდან, მის შემდეგ დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება განმცხადებლის შრომის ანაზღაურებას აღემატება.
73	10/08/2017	11904/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ 2017 წლის 15 ივნისს გადაცემა „პროფილში“ დაირღვა საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ თანასწორობის პრინციპის დარღვევა გამოიხატა გადაცემის ფორმატში.
74	16/08/2017	12175/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ მუშაობდა სრული განაკვეთით ორ შტატზე და არ ღებულობდა ორივე სამუშაოს ანაზღაურებას.
75	10/08/2017	11846/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ მისი ამოწერა მისამართიდან მოხდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მაშინ როცა ყოფილი მეუღლის ამოსაწერად დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა აუცილებელი.
76	15/08/2017	12108/17	განმცხადებლის მოსაზრებით, აუტისტური სპექტრის დიაგნოზის მიუხედავად არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება და ამ სტატუსთან დაკავშირებული ბენეფიტების გაცემა. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის მქონე სტატუსის მინიჭება არ ხდება დაუნის სინდრომის დასმის შემთხვევაში, რა შემთხვევაშიც ასეთი დიაგნოზის მქონე პირები გამორიცხულნი არიან ყველა სოციალური ბენეფიტების მიღების შესაძლებლობისგან.
77	24/08/2016	10922/16	განმცხადებელი მიუთითებს იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზების დაზიანების არაერთ ფაქტზე.
78	05/09/2016	11397/16	განმცხადებელი მიუთითებს მის მიმართ სავარაუდო ეთნიკურ და პოლიტიკურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულზე.
79	09/09/2016	11700/16	განმცხადებელი, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მიუთითებს, რომ სსიპ მომსახურების სააგენტოს არ აქვს ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება მართვის მოწმობის აღების მიზნით პრაქტიკული გამოცდის ჩაბარებისათვის.
80	18/11/2016	15132/16	განმცხადებელი არის ტრანსგენდერი ქალი. მას და მის მეგობრებს კონფლიქტი მოუვიდათ რამდენიმე პიროვნებასთან, რის გამოც გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. მოწოდებული ინფორმაციით თანახმად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა არ განახორციელეს სათანადო რეაგირება და ინციდენტში მონაწილე მეორე მხარეს მისცეს მიმალვის დრო.
81	04/01/2017	66/17	საქმე შეეხება პანკისის ხეობის სოფელ დუისის კულტურის

			სახლისათვის ცეცხლის წაკიდების ფაქტს. ორგანიზაცია „კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის“ წარმომადგენლის განმარტებით, ხანძრის გაჩენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ორგანიზაციის საქმიანობასთან, რომელიც ქალთა უფლებების დაცვას ეხება.
82	13/02/2017	2142/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ ერთ-ერთი კერძო კომპანიის ადმინისტრაციის მხრიდან ადგილი აქვს სისტემურ და განგრძობითი ხასიათის შევიწროვებასა და დისკრიმინაციას.
83	27/02/2017	2873/17	განმცხადებელი არის ტრანსგენდერი ქალი. იგი დააკავა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ პატრულ-ინსპექტორის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას საფუძვლად დაედო ჰომო/ტრანსფობიური წინასწარგანწყობები.
84	16/03/2017	3709/17	განმცხადებლები მიუთითებენ, რომ ერთ-ერთ საჯარო უწყებაში მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე სამუშაო განაკვეთის განახევრება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მათ აქვთ საპენსიო ასაკი.
85	27/04/2017	5773/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ მას და მის დას დისკრიმინაციულად არ აძლევენ საშუალებას აიყვანონ ბავშვი.
86	31/07/2017	11278/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მისი გადმოყვანა აზერბაიჯანის სასაჯელადსრულებების დაწესებულებიდან საქართველოში არ ხდება და ადგილი აქვს მის მიმართ დისკრიმინაციას.
87	04/08/2017	11592/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ ერთ-ერთი კერძო კომპანიის ადმინისტრაციის ბრძანებით, კომპანიის ერთ-ერთ თანამშრომელს არ აქვს უფლება შევიდეს კომპანიის ტერიტორიაზე, ისარგებლოს სერვისით და მიიღოს მომსახურება. აღნიშნული შეზღუდვა კი უკავშირდება ამ პირის მიერ კომპანიის მიმართ კრიტიკას შრომით პირობებთან დაკავშირებით. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს დისკრიმინაციას განსხვავებული შეხედულების გამო.
88	08/08/2017	11703/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ საჯარო უწყების ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში ჩართული ბავშვების რაოდენობასთან დაკავშირებით. ბავშვთა მონაცემები დაყოფილია ორ კატეგორიად: „ჯანმრთელი ბავშვი“ და „შშმ ბავშვი“.
89	09/08/2017	11801/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია არ არის ხელმისაწვდომი უსინათლო პირებისათვის ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით მისაწვდომი.
90	10/08/2017	11902/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი კერძო კომპანიის WI-FI ინტერნეტის რეკლამა ამყარებს დისკრიმინაციულ სტერეოტიპებს

			ქალთა მიმართ.
91	10/08/2017	11905/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ ერთ-ერთმა კერძო სკოლამ გააკეთა განცხადება მე-8 კლასში გადამსვლელი ბიჭებისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. აღნიშნული სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობა კი არ აქვს მე-8 კლასში გადამსვლელ გოგონებს.
92	15/08/2017	12105/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ მოსწავლისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მისანიჭებლად, საჭიროა შშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, ხოლო თანხმობის არარსებობის პირობებში ხდება ბავშვის ინტერესების უგულვებელყოფა და ბავშვს ერთმევა მის საჭიროებაზე მორგებული განათლების მიღების შესაძლებლობა.
93	21/08/2017	12397/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ პირადი მოხმარების მიზნით მედიკამენტების შემოტანის გამო იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი, რაც დისკრიმინაციული პრაქტიკას წარმოადგენს.
94	07/09/2017	13167/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სასამართლოს თანამშრომლის მხრიდან გახდა გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლი.
95	13/09/2017	13389/17	სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო ქალაქ თელავში ბოშა ბავშვების მიმართ საჯაროს სკოლის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლა.
96	13/09/2017	13391/17	სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო თელავში მცხოვრები ბოშათა თემის წარმომადგენლებისათვის არაფულადი სოციალურ დახმარების მიღების საკითხის შესწავლა.
97	14/09/2017	13468/17	განმცხადებელი, რომელიც არის მსჯავრდებული, მიუთითებს, რომ მის მიმართ ადგილი აქვს რასობრივ დისკრიმინაციას.
98	02/10/2017	14324/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონი არის დისკრიმინაციული, ვინაიდან მხოლოდ შსს-ში ნამუშევარი პირები არიან გამორიცხვულები პრივილეგირებულ მოსამსახურეთა სიიდან.
99	19/11/2015	13647/15	განმცხადებელი თვლის, რომ მისი შვილი სკოლაში გახდა რასის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი, რადგან თანაკლასელმა მას რასისტული გამონათქვამით მიმართა.
100	09/06/2016	7319/16	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირები არაერთხელ გახდნენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი და პროკურატურა აღნიშნულის მიმართ უმოქმედოა, რადგან დაზარალებულნი არიან იეპოვას მოწმეები.
101	25/08/2016	10922/16	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირები არაერთხელ გახდნენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი და პროკურატურა საქმეს არ იძიებს სათანადოდ.
102	15/07/2016	9126/16	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ კერძო პირი ახდენს იეპოვას მოწმეების დევნას, მათი ფარული ჩანაწერების გაკეთებას, თუმცა პროკურატურა საქმეს არ იძიებს სათანადოდ.

103	14/08/2015	9583/15	განმცხადებლის განმარტებით, 2015 წლის 10 აგვისტოს, ქ. თბილისში, რუსთაველის N24-ის მიმდებარე ტერიტორიაზე იეპოვას მოწმეები რელიგიურ მსახურებას ეწეოდნენ და იყენებდნენ სპეციალურ სტენდს, რომელიც უცნობმა მამაკაცმა დაამტვრია ფეხით და ამ უკანასკნელთ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნული პირები დაკითხვისთვის გადაიყვანეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, სადაც გამომძიებელი მიზანმიმართულად აიძულებდა, ფაქტის აღწერისას რელიგიური სიძულვილის ნაცვლად დაეფიქსირებინათ პირადი შეურაცხყოფის მოტივი.
104	29/03/2016	4051/16	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მისი შვილის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა იმ მოტივით, რომ ისინი მუსლიმები არიან და ასოცირდებიან ტერორიზმთან.
105	09/06/2016	1700-13	სახალხო დამცველმა თავისი ინიციატივით დაიწყო ვეგან კაფე „Kiwi“-ში მომხდარი თავდასხმის დეტალების შესწავლა და პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისა და სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის თაობაზე.
106	08/11/2016	14504/16	განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 6 ნოემბერს, ქ. თბილისში, მუხიანის რაიონში, რელიგიური მსახურების დროს, იეპოვას მოწმეებს - ნ. ჯ-სა და ო. ხ-ს წაართვეს და გაუნადგურეს რელიგიური ლიტერატურა. ადგილზე გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი და ქმედების აგრესიული ჩამდენი პირები გადაყვანილ იქნენ პოლიციის განყოფილებაში, სადაც მოკვლევა ჩატარდა არაოზიექტურად.
107	22/11/2016	15136/16	განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 10 ნოემბერს, ერთ-ერთ მარტვილის რაიონში მცხოვრებ ზ. მ-ს მეზობელმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც განპირობებული იყო ზ. მ-ს რელიგიური მრწამსით. კერძოდ, იგი არის იეპოვას მოწმე და მის სახლში ხშირად იმართება რელიგიური დანიშნულების შეკრებები.
108	29/11/2016	15352/16	განმცხადებლის განმარტებით, მიხედვით, ბ. თ-ს მიერ სისტემატურად ხდება იეპოვას მოწმეების შევიწროება, რაც გამოიხატება რელიგიურ სტენდებზე ბენზინის შესხმითა და ცეცხლის წაკიდებით. განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 11 ნოემბერს, ბ. თ-ს მიერ იეპოვას მოწმეებზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე, პროკურატურამ ამ უკანასკნელს ბრალი წაუყენა სსკ 156-ე მუხლით და სასამართლო პროცესზე მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება. ამის მიუხედავად, სასამართლომ გაათავისუფლა იგი და გირაოს სახით 3000 ლარის გადახდა შეუფარდა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, 2016 წლის 18 ნოემბერს, ბ. თ. კვლავ მივიდა იეპოვას მოწმეებთან, ხელის კვრით გადაუყირავა სტენდი, მიმოუფანტა რელიგიური ლიტერატურა და მათ დაემუქრა, რომ ნახავდნენ რაც მოუვიდოდათ სასამართლო პროცესის მერე.

109	16/09/2016	11978/16	სახალხო დამცველს განცხადებით მომართა თბილისის 11 სხვადასხვა ბაღიდან გათავისუფლებულმა დირექტორებმა. მათი განმარტებით, ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ ისინი გათავისუფლდნენ დისკრიმინაციული საფუძველით, კერძოდ იმის გამო, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში იყვნენ დანიშნულები. გარდა ამისა განმცხადებლები მიუთითებენ, რომ ისინი ან მათი ოჯახის რომელიმე წევრი ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან.
110	13/02/2017	2077/17	განმცხადებლის განმარტებით, სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო შეიცავს ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ ელემენტებს და უნდა იქნეს მიჩნეული დისკრიმინაციულად.
111	01/05/2017	5925/17	განმცხადებელი არის ტრანსსექსუალი ქალი, რომელიც აღნიშნავდა, რომ პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვისას აყენებდნენ შეურაცხყოფას და მოიხსენიებდნენ დისკრიმინაციული ტერმინებით.
112	03/05/2017	6053/17	განმცხადებლის განმარტებით, ის და მისი და არიან ნიგერიელი ფერადკანიანი სტუდენტები, რომლებიც ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ცხოვრობდნენ ბინაში, საიდანაც რასისტული მოტივებით გამოაძევა მეპატრონემ.
113	23/06/2017	8625/17	განმცხადებლის განმარტებით, 2010 წლის 1 აპრილიდან ნოტარიატის შესახებ კანონში (57-3) შევიდა ცვლილებები და ნოტარიუსის შემცვლელი პირები რომლებიც გადადგნენ 2010 წლის 01 აპრილამდე - უფლებამოსილნი არიან მიმართონ იუსტიციის მინისტრს განცხადებით ნოტარიუსად დანიშვნის შესახებ . ვინც გათავისუფლდა 2010 წლის 01 აპრილის შემდეგ - ასეთი უფლება არ აქვთ. აღნიშნულ დანაწესს განმცხადებელი მიიჩნევს დისკრიმინაციულად.
114	02/03/2015	2486/15	განმცხადებელი მიუთითებს, პროკურატურის და პოლიციის მხრიდან იეპოვას მოწმეების მიმართ გამოვლენილ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე.
115	08/04/2016	4512/16	განმცხადებელი არის ნიგერიის მოქალაქე, რომელიც ვერ სარგებლობს საქართველოს ბანკის სტუდენტური ბარათით, ასევე უარს ეუბნებიან საბანკო ანგარიშის გახსნაზე.
116	30/03/2016	4136/16	განმცხადებელს არ მიეცა საშუალება სააღდგომო ამანათი გაეგზავნა მსჯავრდებულისათვის.
117	06/04/2016	4394/16	პატიმრები ვერ ღებულობენ რელიგიურ დღესასწაულზე ამანათს.
118	19/05/2016	6334/16	ბანკში უარი ეთქვა მომსახურებაზე, ასევე ვერ მიიღო საქართველოს მოქალაქეობა.
119	01/06/2016	6933/16	განმცხადებლის განმარტებით, მას მეზობლები ავიწროვებენ და აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას იმის გამო, რომ არიან ერაყიდან. განმცხადებლის მითითებით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სათანადოდ არ რეაგირებენ.

120	07/06/2016	7216/16	განმცხადებლის განმარტებით, უცნობმა პირებმა ტრანსგენდერ პირებს ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიაყენეს შეურაცხყოფა. განმცხადებლის მითითებით, პოლიციელებიც მათ დასცინოდნენ და არ ახდენდენ რეაგირებას.
121	10/08/2016	10250/16	ირანის მოქალაქეს ბანკები არ უხსნიან ანგარიშს დოლარში და ევროში.
122	05/09/2016	11457/16	განმცხადებლის განმარტებით, მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. განმცხადებელი განმარტავს, რომ სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენთან ერთად, ათობით ადამიანმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. განმცხადებლის მითითებით, სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენი პირი იყო „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი და მისი კონკურენტი არჩევნებში.
123	05/09/2016	11458/16	განმცხადებლის განმარტებით, მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.
124	08/09/2016	11644/16	განმცხადებლის განმარტებით, მის დაცვის ქვეშ მყოფს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა ახალქალაქის რაიონის პროკურატურა აჭიანურებს საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამა წლის მაისის თვეში განმცხადებელმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რის შემდგომაც საქმე გადაეგზავნა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას, თუმცა დღემდე რეაგირება არ მოჰყოლია. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ რადგანაც ის და მისი ოჯახი არის ეროვნებით სომეხი ამიტომ ხდება მათი უფლებების დარღვევა.
125	07/10/2016	13036/16	განმცხადებლები განმარტავენ, რომ თსუ-ს პროფესორმა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ლექციაზე გააკეთა ჰომოფობიური შინაარსის განცხადება. ამასთან, განმცხადებლების მითითებით, აღნიშნული საგნის სწავლებისას პროფესორი იყენებს ჰომოფობიური შინაარსის შემცველ წიგნს.
126	10/10/2016	13098/16	განმცხადებლის განმარტებით, იგი დაკავებული იყო და მისი დაკითხვა 7 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ მასთან ერთად დაკავებულ პიროვნებას პოლიციელებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. განმცხადებლის მითითებით, მას პოლიციის თანამშრომლები მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი ტერმინებით.
127	26/06/2017	9100/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 18 ივნისს იგი საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა დააჯარიმა საგზაო ნიშნის დაუმორჩილებლობის გამო. განმცხადებლის განმარტებით, მისი კუთვნილი ავტომობილის უკან ავტომობილი შენიშნა,

			რომელსაც საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მართავდა. განმცხადებელის მითითებით, პატრულის თანამშრომელმა ჩაიდინა მისი მსგავსი სამართალდარღვევა, თუმცა, მხოლოდ განმცხადებელი დაჯარიმდა.
128	21/06/2017	8852/17	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2017 წლის 21 ივნისს 04:06 საათზე ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა ტრანსგენდერი, რომლის განმარტებითაც მას და მის მეგობრებს ბათუმში უცნობმა მამაკაცებმა მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. განმცხადებლის განმარტებით, მან გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომელმაც არ მოახდინა სათანადო რეაგირება.
129	23/06/2017	9025/17	განცხადებაში აღნიშნულია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭართალის საჯარო სკოლის დირექტორი ფსიქოლოგიურად ძალადობს მოსწავლეზე და აღნიშნული სკოლის მასწავლებლებს ავალებს ბავშვის შევიწროებას.
130	21/06/2017	8912/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ მიმდინარე წლის ივნისის თვეში მონაწილეობას ღებულობდა წინანდლის ბაგა-ბაღის გამგის პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში. განმცხადებლის მითითებით, კადრების შერჩევისას ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციის ფაქტებს, ვინაიდან შერჩევა ხორციელდებოდა ნაცნობობის საფუძველზე.
131	29/06/2017	9349/17	განმცხადებლის განმარტებით, მისი ხელმძღვანელის, იურისტის და მუნიციპალიტეტის გამგეობის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან არის დისკრიმინაციის მსხვერპლი. განმცხადებელი მიუთითებს რომ, ისინი მის მიმართ განწყობილნი არიან არაკოლეგიალურად, უზღუდავენ უფლება-მოვალეობებს, უშლიან ხელს საკუთარი მოვალეობების განხორციელებაში და იმყოფება შევიწროვებულ მდგომარეობაში.
132	03/07/2017	9510/17	განმცხადებელი მიიჩნევს, მას უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე, ვინაიდან მის პასპორტზე აღნიშნულია ტაივანი.
133	04/07/2017	9669/17	განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას სურს სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, ასევე დაცვის პოლიციასა/სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დასაქმება, თუმცა დასაქმებაზე ზეპირი ფორმით უარს ეუბნებიან. ასევე აღნიშნავს, რომ ნასამართლობის გამო გასაუბრებაზე არ იბარებენ.
134	10/07/2017	10014/17	განმცხადებლები აცხადებენ, რომ ისინი პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან, ვინაიდან საქმის სხვა მონაწილეები არ არიან პასუხისმგებში მიცემული, ხოლო მათ მიმართ უკვე ორი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.
135	07/07/2017	9959/17	ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინების საფუძველზე,

			საქართველოს სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა დმანისის N1 საჯარო სკოლაში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ. განმცხადებლის მითითებით, სკოლის დირექტორმა მას განუცხადა, რომ არ უყვარს „თათრები“ და არ მისცემს მათ სკოლაში სწავლის უფლებას.
136	09/07/2017	9991/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ დირექტორის მხრიდან დაექვემდებარა დისკრიმინაციას, რაც გამოიხატა განმცხადებლის პიროვნულ შეურაცხყოფაში, ასევე ზეწოლაში, ხელი მოეწერა საკუთარი ნებით ტელევიზიიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებისთვის. ამასთან, განმცხადებლის მითითებით, მის წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური წარმოება.
137	13/07/2017	10293/17	განმცხადებელი მიუთითებს, რომ პოლიციელების თანამშრომელთა მხრიდან განხორციელდა დისკრიმინაციული მოპყრობა იეჰოვას მოწმეების მიმართ. განმცხადებლის მოსაზრებით, იეჰოვას მოწმეების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებების გამო არ ასახა გამომძიებელმა სრულად მომხდარი ფაქტი. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება მისი მისამართითაც გამოვლინდა. კერძოდ, არ ძლევდნენ შენიშვნების დაფიქსირების საშუალებას და იქ მყოფ იეჰოვას მოწმეებს მოუწოდებდნენ არ დაეჯერებინათ მისთვის, ასევე უკრძალავდნენ მასთან კომუნიკაციას.
138	13/07/2017	10267/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მეზობლების მხრიდან ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლია.
139	19/07/2017	10639/17	განმცხადებლის განმარტებით, მას თავს ესხმის მისი ნათესავი და ურიას ეძახის.
140	25/07/2017	10933/17	განმცხადებელი მიიჩნევს, რომ წინანდლის N1 საბავშვო ბაღში ჩატარებული კონკურსი უკანონოა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ვინაიდან, ის პენსიონერია განუმარტეს რომ არ დაასაქმებდნენ. საბოლოოდ, ის გამოცხადდა გასაუბრებაზე, თუმცა, ვინაიდან დარჩენილი იყო ძალიან მცირე დრო, მან გასაუბრებისთვის სათანადოდ მომზადება ვერ შეძლო.
141	24/07/2017	10888/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ იგი დისკრიმინაციულ პირობებში იმყოფება, ვინაიდან, მის შემდეგ დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება განმცხადებლის შრომის ანაზღაურებას აღემატება.
142	26/07/2017	10792/17	რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლებას მიიჩნევს დისკრიმინაციულად.
143	10/08/2017	11904/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ 2017 წლის 15 ივნისს გადაცემა „პროფილში“ დაირღვა საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ თანასწორობის პრინციპის დარღვევა გამოიხატა გადაცემის ფორმატში.
144	16/08/2017	12175/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ მუშაობდა სრული განაკვეთით

			ორ შტატზე და არ ღებულობდა ორივე სამუშაოს ანაზღაურებას.
145	16/08/2017	12030/17	უკანონო პატიმრობის შემდეგ სამსახურში არ აღადგინეს. ზოგადად უთითებს და დაობს დისკრიმინაციაზე.
146	10/08/2017	11846/17	განმცხადებელი განმარტავს, რომ მისი ამოწერა მისამართიდან მოხდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მაშინ როცა ყოფილი მეუღლის ამოსაწერად დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა აუცილებელი.
147	15/08/2017	12108/17	განმცხადებლის მოსაზრებით, აუტისტური სპექტრის დიაგნოზის მიუხედავად არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება და ამ სტატუსთან დაკავშირებული ბენეფიტების გაცემა. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის მქონე სტატუსის მინიჭება არ ხდება დაუნის სინდრომის დასმის შემთხვევაში, რა შემთხვევაშიც ასეთი დიაგნოზის მქონე პირები გამორიცხულნი არიან ყველა სოციალური ბენეფიტების მიღების შესაძლებლობისგან.
148	22/09/2017	13893/17	განმცხადებლის მოსაზრებით, დამსაქმებელმა ის სამსახურიდან გაათავისუფლა განსხვავებული შეხედულების ნიშნით.
149	10/10/2017	14723/17	განმცხადებელი მიუთითებს პროკურატურის და პოლიციის მხრიდან იეჭოვას მოწმეების მიმართ გამოვლენილ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე.
150	13/10/2017	14932/17	განმცხადებელი მიუთითებს, მას ესაჭიროებოდა ეტლით სარგებლობა, ერთ-ერთმა ავია კომპანიამ კი არ უზრუნველყო შესაბამისი მომსახურება.